მიზანს აცდენილი ბურთები

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 16 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ჟალგირისი” (ვილნიური) 1:1.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, გოგრიჭიანი, მიქაბერიძე, შენგელია, ცაავა, მესხი.

“ჟალგირისი”: იურკუსი, სუკრისტოვი, ტაუტკუსი, გრაჟულისი, იანონისი, კასპარავიჩუსი, დანისიავიჩუსი, გარანაუსკასი, იაკუბაუსკასი, ბუზმაკოვი, ნარბეკოვასი.

37–ე წთ. ბარბეკოვასი, 90–ე წთ. ჩივაძე.

46–ე წთ. შენგელიას ნაცვლად – გურული, 57–ე წთ. გოგრიჭიანის ნაცვლად – ჩქარეული.

მსაჯი: ვლადიმერ ნოვიკოვი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 27:5 (12:4), ზუსტი დარტყმა – 4:2)2:2), საჯარიმო მოედნიდან – 12:3 (5:2).

კუთხური – 9:3 (2:3).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 8 (7), ვილნიუსელები – 9 (5),

სტუმრებმა მხოლოდ ბარანაუსკასი (№8) დატოვეს წინ, ძირითად ძალებს კი მინდვრის შუაგულსა და საკუთარ საჯარიმოში მოუყარეს თავი. ასე დაიწყო გუშინდელი მატჩი და კარგა ხანს ასეც გაგრძელდა, ვიდრე “ჟალგირისმა” არ იგრძნო, რომ უფრო აქტიური თამაშის უფლებაც ჰქონდა. თამაშის მეოცე წუთიდან ბარანაუსკასთან ერთად შეტევებში უფრო გაბედულად მონაწილეობენ იაკუბაუსკასი (№9), დანისიავიჩუსი (№7) და ნარბეკოვასი (№11).

თბილისელთა კართან პირველი კომბინაცია სტუმრებმა 27–ე წუთზე გაითამაშეს. ამას კიდევ ერთი კომბინაცია მოჰყვა და ბოლოს, 37–ე წუთზე ბარანაუსკასისა და იაკუბაუსკასის იერიში ნარბეკოვასმა გოლით დაასრულა. მანამდე “დინამომ” ექვსჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ – სამჯერ კეტაშვილმა, ორჯერ ცაავამ და ერთხელ მესხმა. ყველა დარტყმა აცდა კარს.

მთელი მეორე ტაიმი “დინამო” უტევდა. ძნელია, და ალბათ არც არის საჭირო თბილისელი თავდამსხმელების, ნახევარმცველებისა და მცველების მიერ გამოუყენებელი მომენტების ჩამოთვლა – გოლის გატანის მომენტები საკმარისზე მეტი იყო. შესაძლოა ვინმემ თქვას, “დინამოს” ბედი არ სწყალობდაო, მაგრამ კარში ზუსტი დარტყმა ფეხბურთის ერთ–ერთი გადამწყვეტი კომპონენტია, ერთ–ერთი მთავარი ტექნიკური ელემენტია და თუ ამ მართლაცდა მთავარში მოიკოჭლებენ, უბედობაზე ლაპარაკი თავისთავად ზედმეტი ხდება.

მატჩის მიწურულს თბილისელებმა გოლი გაქვითეს (ჩივაძე, პენალტით), თუმცა ერთი ქულა მაინც გაატანეს სტუმრებს.

ახლა ჩემპიონატში საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება ცხადდება. თბილისის “დინამოს” საკმარისი დრო აქვს იმისთვის, რომ სავსებით გასაგებ სტრესულ მდგომარეობას თავი დააღწიოს და ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში ყველაფერი იღონოს ავტორიტეტის აღსადგენად.

ირაკლი ბერიაშვილი.

მხოლოდ ნიშნები

გაბელია – 6,0, კეტაშვილი – 5,9, ჩივაძე – 6,1, ჭედია – 4,6, არზიანი – 4,3, კაკილაშვილი – 4,1, გოგრიჭიანი – 3,9, მიქაბერიძე – 3,9, შენგელია – 3,6, ცაავა – 4,9, მესხი – 3,7, ჩქარეული – 3,8, გურული – 4,0.

თბილისის "დინამო" – 4,3.

"ლელო", 17 ივლისი, 1985 წ.